

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24
2017 წლის 12 ივლისი

დაბა ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 19/12/2016) და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მანანა ბარბაქაძე

დანართი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9,556.3	3,458.6	6,097.7	9,419.6	2,904.9	6,514.7	12,825.5	6,576.4	6,249.1
გადასახადები	963.1	0.0	963.1	1,268.3	0.0	1,268.3	1,300.0	0.0	1,300.0
გრანტები	7,764.7	3,458.6	4,306.1	6,959.0	2,904.9	4,054.1	10,410.5	6,576.4	3,834.1
სხვა შემოსავლები	828.5	0.0	828.5	1,192.3	0.0	1,192.3	1,115.0	0.0	1,115.0
ხარჯები	7,052.1	494.1	6,558.0	6,884.8	549.3	6,335.5	6,407.4	610.3	5,797.1
შრომის ანაზღაურება	1,521.2	26.0	1,495.2	1,631.8	86.1	1,545.7	1,538.1	66.0	1,472.1
საქონელი და მომსახურება	980.6	274.0	706.6	877.5	292.2	585.3	997.1	412.5	584.6
სუბსიდიები	3,729.8	110.0	3,619.8	3,621.9	49.0	3,572.9	3,269.8	77.9	3,191.9



გრანტები	178.1	0.0	178.1	102.5	0.0	102.5	0.4	0.0	0.4
სოციალური უზრუნველყოფა	544.6	2.0	542.6	513.2	2.9	510.3	498.9	2.0	496.9
სხვა ხარჯები	97.8	82.1	15.7	137.9	119.1	18.8	103.1	51.9	51.2
საოპერაციო სალდო	2,504.2	2,964.5	-460.3	2,534.8	2,355.6	179.2	6,418.1	5,966.1	452.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,852.5	2,616.8	235.7	2,353.9	2,188.2	165.7	6,972.7	6,443.8	528.9
ზრდა	2,869.6	2,616.8	252.8	2,408.2	2,188.2	220.0	6,972.7	6,443.8	528.9
კლება	17.1	0.0	17.1	54.3	0.0	54.3	0.0	0.0	0.0
მთლიანი სალდო	-348.3	347.7	-696.0	180.9	167.4	13.5	-554.6	-477.7	-76.9
ფინანსური აქტივების ცვლილება	-356.3	339.7	-696.0	171.0	167.4	3.6	-688.1	-572.6	-115.5
ზრდა	502.2	367.9	134.3	171.0	167.4	3.6	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	502.2	367.9	134.3	171.0	167.4	3.6	0.0		
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	688.1	572.6	115.5
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			0.0			688.1	572.6	115.5
ვალდებულებების ცვლილება	-8.0	-8.0	0.0	-9.9	0.0	-9.9	-133.5	-94.9	-38.6
კლება	8.0	8.0	0.0	9.9	0.0	9.9	133.5	94.9	38.6
საშინაო	8.0	8.0	0.0	9.9	0.0	9.9	133.5	94.9	38.6
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	9 573.4	3 458.6	6 114.8	9 473,9	2 904,9	6 569,0	12,825.5	6,576.4	6,249.1
შემოსავლები	9,556.3	3,458.6	6,097.7	9 419,6	2 904,9	6 514,7	12,825.5	6,576.4	6,249.1
არაფინანსური	17.1	0.0	17.1	54,3	0,0	54,3	0,0	0,0	0,0



აქტივების კლება									
გადასახადები	963.1	0.0	963.1	1 268,3	0,0	1 268,3	1,300.0	0.0	1,300.0
ხარჯები	7 052,1	494,1	6 558,0	6 884,8	549,3	6 335,5	6,407.4	610.3	5,797.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	2 869,6	2 616,8	252,8	2 408,2	2 188,2	220,0	6,972.7	6,443.8	528.9
ვალდებულებების კლება	8,0	8,0	0,0	9,9	0,0	9,9	133,5	94,9	38,6
ნაშთის ცვლილება	0	0	0	0	0	0	688,1	572,6	115,5

მუხლი 3

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 12 825.5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9 556,3	3 458,6	6 097,7	9 419,6	2 904,9	6 514,7	12,825.5	6,576.4	6,249.1
გადასახადები	963,1	0,0	963,1	1 268,3	0,0	1 268,3	1 300,0	0,0	1 300,0
გრანტები	7 764,7	3 458,6	4 306,1	6 959,0	2 904,9	4 054,1	10,410.5	6,576.4	3,834.1
სხვა შემოსავლები	828,5	0,0	828,5	1 192,3	0,0	1 192,3	1 115,0	0,0	1 115,0

მუხლი 4

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1300.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	963,1	0,0	963,1	1 268,3	0,0	1 268,3	1 300,0	0,0	1 300,0
საშემოსავლო გადასახადი	0,0			237,9		237,9	250,0		250,0



ქონების გადასახადი	963,1	0,0	963,1	1 030,4	0,0	1 030,4	1 050,0	0,0	1 050,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	65,0		65,0	128,7		128,7	90,0		90,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,1	0,0	0,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,1		0,1	0,0			0,0		
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	898,0	0,0	898,0	901,7	0,0	901,7	960,0	0,0	960,0
იურიდიული პირებიდან	898,0		898,0	901,7		901,7	960,0		960,0

მუხლი 5

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10 410,5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა 7/10/2017		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	7,764.7	3,458.6	4,306.1	6,959.0	2,904.9	4,054.1	10,410.5	6,576.4	3,834.1
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7,764.7	3,458.6	4,306.1	6,959.0	2,904.9	4,054.1	10,410.5	6,576.4	3,834.1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4,444.1	138.0	4,306.1	4,192.1	138.0	4,054.1	3,972.1	138.0	3,834.1
გათანაბრებითი ტრანსფერი	4,306.1		4,306.1	4,054.1		4,054.1	3,834.1		3,834.1
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	138.0	138.0		138.0	138.0		138.0	138.0	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3,320.6	3,320.6	0.0	2,766.9	2,766.9	0.0	6,438.4	6,438.4	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	2,553.1	2,553.1		2,081.6	2,081.6		6,277.4	6,277.4	



სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	767.5	767.5		685.3	685.3		0.0		
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0			0.0			161.0	161.0	

მუხლი 6

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1115.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	828,5	0,0	828,5	1 192,3	0,0	1 192,3	1 115,0	0,0	1 115,0
შემოსავლები საკუთრებიდან	148,2	0,0	148,2	104,1	0,0	104,1	95,0	0,0	95,0
პროცენტები	33,2		33,2	0,0			0,0		
რენტა	115,0	0,0	115,0	104,1	0,0	104,1	95,0	0,0	95,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	79,1		79,1	74,2		74,2	70,0		70,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	35,9		35,9	29,9		29,9	25,0		25,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	13,8	0,0	13,8	47,9	0,0	47,9	20,0	0,0	20,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	13,8	0,0	13,8	47,9	0,0	47,9	20,0	0,0	20,0
სანებართვო მოსაკრებელი	1,2		1,2	29,3		29,3	0,0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	12,6		12,6	18,6		18,6	20,0		20,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	666,5		666,5	1 040,3		1 040,3	1 000,0		1 000,0
შერეული და სხვა									



არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0,0			0,0			0,0		
--------------------------------	-----	--	--	-----	--	--	-----	--	--

მუხლი 7

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6 407.4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7 052,1	494,1	6 558,0	6 884,8	549,3	6 335,5	6,407.4	610.3	5,797.1
შრომის ანაზღაურება	1 521,2	26,0	1 495,2	1 631,8	86,1	1 545,7	1,538.1	66.0	1,472.1
საქონელი და მომსახურება	980,6	274,0	706,6	877,5	292,2	585,3	997.1	412.5	584.6
სუბსიდიები	3 729,8	110,0	3 619,8	3 621,9	49,0	3 572,9	3,269.8	77.9	3,191.9
გრანტები	178,1	0,0	178,1	102,5	0,0	102,5	0.4	0.0	0.4
სოციალური უზრუნველყოფა	544,6	2,0	542,6	513,2	2,9	510,3	498.9	2.0	496.9
სხვა ხარჯები	97,8	82,1	15,7	137,9	119,1	18,8	103.1	51.9	51.2

მუხლი 8

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6 972.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6 972.7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით

ორგ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები



		ტრანსფერები			ტრანსფერები			ტრანსფერები		
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	22,7		22,7	79.0	0.0	79.0	48.0	0,0	48.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0	0.0	0,0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2630,5	2520,1	110,4	2007.0	1907.6	99.4	6711,1	6253,1	458.0
04 00	განათლება	119,7	0.0	119,7	297.9	280.6	17.3	205.4	190.7	14.7
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	96,7	96,7	0.0	7.9	0.0	7,9	2.8	0,0	2.8
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	15.4	0.0	15.4	5,4	0,0	5,4
	სულ	2869.6	2616.8	252,8	2408.2	2 188.2	220.0	6972,7	6443,8	528.9

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	17.1	0.0	17.1	54,3	0.0	54.3	0.0	0.0	0.0
ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	16.5		16.5	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	17.1	0.0	17.1	37,8	0.0	37,8	0.0	0.0	0.0



მუხლი 9

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის პროექტი 29.06.2017		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,000.2	0.0	2,000.2	2,166.3	0.0	2,166.3	2,069.0	0.0	2,069.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,000.2	0.0	2,000.2	2,166.3	0.0	2,166.3	2,069.0	0.0	2,069.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,000.2	0.0	2,000.2	2,166.3	0.0	2,166.3	2,025.6	0.0	2,025.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	43.4	0.0	43.4
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	94.6	26.0	68.6	98.3	87.0	11.3	78.0	66.0	12.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	178.1	0.0	178.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	178.1	0.0	178.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2,439.4	2,197.5	241.9	2,375.9	2,299.1	76.8	7,155.7	6,693.5	462.2
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	11.1	0.0	11.1	0.0	0.0	0.0	4.2	0.0	4.2
70421	სოფლის მეურნეობა	11.1	0.0	11.1	0.0	0.0	0.0	4.2	0.0	4.2



7045	ტრანსპორტი	2,428.3	2,197.5	230.8	2,375.9	2,299.1	76.8	7,151.5	6,693.5	458.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,428.3	2,197.5	230.8	2,375.9	2,299.1	76.8	7,151.5	6,693.5	458.0
705	გარემოს დაცვა	551.5	32.5	519.0	551.4	0.0	551.4	497.0	0.0	497.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	519.0	0.0	519.0	551.3	0.0	551.3	477.0	0.0	477.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	32.5	32.5	0.0	0.1	0.0	0.1	20.0		20.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,071.4	631.2	440.2	457.2	0.0	457.2	384.0	0.0	384.0
7061	ბინათმშენებლობა	0.9	0.0	0.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7063	წყალმომარაგება	195.8	174.9	20.9	7.6	0.0	7.6	15.0		15.0
7064	გარე განათება	184.0	3.4	180.6	219.8		219.8	178.4		178.4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	690.7	452.9	237.8	229.8	0.0	229.8	190.6		190.6
707	ჯანმრთელობის დაცვა	115.0	110.0	5.0	107.0	49.0	58.0	126.9	70.0	56.9
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	115.0	110.0	5.0	107.0	49.0	58.0	126.9	70.0	56.9
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,582.3	96.7	1,485.6	1,437.0	0.0	1,437.0	1,127.2	0.0	1,127.2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	615.0	0.0	615.0	486.3	0.0	486.3	333.2	0.0	333.2
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	907.4	91.7	815.7	805.6	0.0	805.6	679.8	0.0	679.8
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	47.5	0.0	47.5	64.0	0.0	64.0	53.2	0.0	53.2
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	12.4	5.0	7.4	81.1		81.1	61.0		61.0
709	განათლება	1,237.5	0.0	1,237.5	1,455.2	280.6	1,174.6	1,320.0	190.7	1,129.3
7091	სკოლამდელი აღზრდა	991.7	0.0	991.7	1,246.1	280.6	965.5	1,115.4	190.7	924.7



7092	ზოგადი განათლება	136.6	0.0	136.6	105.0	0.0	105.0	104.8	0.0	104.8
70923	საშუალო ზოგადი განათლება	136.6	0.0	136.6	105.0	0.0	105.0	104.8	0.0	104.8
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	109.2	0.0	109.2	104.1	0.0	104.1	99.8	0.0	99.8
710	სოციალური დაცვა	651.7	17.0	634.7	644.7	21.8	622.9	622.3	33.9	588.4
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	454.6	0.0	454.6	467.8	0.0	467.8	438.8	0.0	438.8
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	454.6	0.0	454.6	467.8	0.0	467.8	438.8	0.0	438.8
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2.0	2.0	0.0	2.3	2.0	0.3	2.0	2.0	
	სულ	9,921.7	3,110.9	6,810.8	9,293.0	2,737.5	6,555.5	13,380.1	7,054.1	6,326.0

მუხლი 10

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 554.6 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1.განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 688.1 ათასი ლარის ოდენობით.

2.განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება - 688.1 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი განისაზღვროს 43.4 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13

წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა

მუნიციპალიტეტის მიერ წინა წლის დავალიანებების ფინანსური უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულ იქნეს 34.0 ათასი.

მუხლი 14

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1.დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 138.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული



უფლებამოსილების განხორციელებისათვის 70.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 66.0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2.0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 78.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა – 78.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის გამოკვლევის მიზნით მათი რესპუბლიკის სამედიცინო-საექსპერტო კომისიაზე და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა, ასევე საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტში მობილიზებული წვევამდელების და რეზერვისტების ტრანსპორტირება დისლოკაციის ადგილამდე.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 8120.6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც წარმოადგენს ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის დასუფთავების ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების ფონდიდან სახსრების გამოსაყოფად მუნიციპალიტეტისათვის აუცილებლობას წარმოადგენს თანადაფინანსებისათვის თითოეული ინფრასტრუქტურული პროექტის მთლიანი ღირებულების 5%-ის ბიუჯეტში გათვალისწინება, ასევე სავალდებულო სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისათვის თანხის გამოყოფა.

2017 წელს პირველად ხორციელდება მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფა, რაც ასევე ხორციელდება თანადაფინანსების პრინციპით.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა – 7138.5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 01)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. ასევე განხორციელდება საავტომობილო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა. გაგრძელდება ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია და მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი პროექტების თანადაფინანსება 5-10%-ის ფარგლებში. მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მობეტონდება საღანძილის ა/ერთეულის სოფელ ვანის და ჩხერის გზის მონაკვეთები; წყალაფორეთის ა/ერთეულის სოფელ ხონის და ლახუნდარის, ხევის ა/ერთეულის სოფ. წაქვის, ბორითის ა/ერთეულის სოფელ მაქათუბნის და ვაშლევის პირველი უბნის, ბაზალეთის ა/ერთეულის სოფ.დარიხევის, მოლითის ა/ერთეულის სოფ. ქვების ცენტრალური გზის 1 კმ, სოფ ვახანის ცენტრალური გზა, სოფელ ნებოდირის გზა, სოფ. ლაშის იგორეთის გზა, სოფ. ხიდარში სკოლასთან მისასვლელი გზა, სოფ. ვარძიაში პირველი უბნის გზა, სოფ. გოლათუბნის ცენტრალური გზა და სოფელ ვერტყვიჭალაში სასოფლო გზა. ასევე მოხდება სოფელ ფარცხნალში აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახლამდე მისასვლელი 984 მეტრი გზის რეაბილიტაცია, დაბა ხარაგაულში ქუჩების, ჩიხების რეაბილიტაცია და არხების გაწმენდა, სოფელ ლელვანის ცენტრალური 4076 მეტრი გზის, სოფელ ქვედა ლახუნდარის (ეკლესიის უბანი) ცენტრალური 2350 მეტრი გზის, ლელვანი-მარელისის დამაკავშირებელი 4600 მეტრი გზის, სოფელ ჩრდილის საავტომობილო 2400 მეტრი გზის, სოფელ კიცხის (მდინარაძეების უბანი) 2500 მეტრი გზის, სოფელ ღვერკის 1400 მეტრი გზის, ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ხემაღალის 2100 მეტრი გზისა და მანჯავიძეების უბანში 250 მეტრი გზის რეაბილიტაცია; სოფელ საქარიქედის საავტომობილო 2200 მეტრი გზის რეაბილიტაცია.

აღნიშნულ გზებზე სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისათვის საქართველოს მთავრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო სახსრები თანადაფინანსების წესის გათვალისწინებით.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა სოფელ გოლათუბნის სასოფლო გზის მოსაბეტონებლად.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა – 695.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. გაგრძელდება სანიაღვრე არხების მოწესრიგება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

გ) სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების, საყრდენი კედლების, დამბებისა და წყლის შემკრები ავზების მოწყობა – 21.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები დაბაში რახიელას ღელეზე, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში საჭიროებისამებრ.

დ) დასუფთავების ღონისძიებები – 477.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ამ პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა 44 000 კვმ ფართობზე დაბა ხარაგაულისა და პატარა ხარაგაულის ქუჩებიდან და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების სოფლებიდან ზვარე, მოლითი, ბეჟათუბანი, დიდვაკე, ჯაფაროული,ბაზალეთი, ფარცხნალი,თეთრაწყარო, საქარიქედი, კიცხი,ხიდარი, ვარძია, წყალაფორეთი, ბორი, ლაშე, უბისა, მაქათუბანი, ბორითი, საქასრია, ვერტყვიჭალა, ხევი, ხუნევი, რიკოთი, სადაც განთავსებულია 143 ცალი ნარჩენების შემაგროვებელი კონტეინერი, რომელსაც ემსახურება ორი ერთეული „ისუზუს“ ტიპის სპეციალური ავტომანქანა და 27 მეეზოვე.დასუფთავების ღონისძიებებს ახორციელებს ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება“, რომელიც გარდა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება, გატანა,



განთავსებისა ასევე ახორციელებს მოსახლეობის მაწანწალა ძაღლებისაგან დაცვას, რაც გულისხმობს ცხოველების გადაყვანას სპეციალურ თავშესაფრებში. წყალარინების ჯგუფის მიერ ხდება სანიაღვრე არხების გაწმენდა და კანალიზაციის დაზიანებული წერტილების აღმოფხვრა-შეკეთება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცალკე განთავსებულია პოლიეთილენის ბოთლებისა და პარკების შემგროვებელი ორგანოფილებიანი კონტეინერები.

ე) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 19.3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)

ამ პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში წყლის სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები;

ვ) გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია – 172.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 05)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, კერძოდ დაბაში სოლომონ მეფის, ცხრა აპრილის, გალაქტიონის, რ. დეკანოსიძის, რ. თაბუკაშვილის, ო. აბაშიძის, წერეთლის, თ. ჭიპაშვილის, ე. ჭიპაშვილის, ჭავჭავაძის, გურამიშვილის, გრიშაშვილის, დევდარიანის, ნიორაძის, კიკნაძის და გლუნჩაძის ქუჩებზე, ასევე სოფლებში დიდვაკე, ისლარი, ფარცხნალი, ნებოძირი, სადანძილე, ბრუისი, ჯაფარეული, ოკუშურა, თეთრაწყარო, უბისა, მოლითი, ბორითი, მაქათუბანი, უბისა, ლაშე, საქასრია, და ბაზალეთში არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება.

ზ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია – 6.4 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 06)

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება გარე განათების ქსელის მოსაწყობი სამუშაოები.

თ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები – 201.8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 04)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბაში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მწვანე ნარგავების მოვლა. სადღესასწაულო დღეებში დაბის ტერიტორიის გაფორმება და სხვა ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება დაბის პარკის, თ.კიკნაძის სახელობის, ჩოხოსნების, გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, პოლიციის მიმდებარე ტერიტორიის, ვ.ლონდაძის სახელობის შინმოუსვლელთა, ცხრა აპრილის, დაბის შესასვლელში „დევების“ ტერიტორიის სკვერის, სოფ. ბორითში მერაბ კოსტავას სახელობის სკვერის, სოფ. ნებოძირში არსებული სკვერის, სოფ. ღორეშაში იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, შინმოუსვლელთა და ვაჟა ფშაველას მემორიალის მიმდინარე სკვერების, საქარიქედის სკვერის მოვლა-პატრონობა ასევე სოფ. ისლარში არსებული დაცული ტერიტორიის მოვლა პატრონობა, პირუტყვისაგან დაცვა, ახალი ნარგავების დარგვა და მოვლა, გასხვლა, მორწყვა, შემობარვა. დაბაში არსებული ხიდების და ტროტუარების მოვლა, შეღებვა, დაზიანებული ადგილების აღდგენა, მრავალწლიანი ნარგავების მოვლა, გადაჭრა, კირით შეწამვლა, შემობარვა, საჭირო შემთხვევაში ამოღება; დაბაში არსებული ორი შადრევნის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

ასევე დაბაში ცენტრალური პარკის რეაბილიტაციისათვის საპროექტო სამუშაოების დაფინანსება.

ი) სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები – 80.4 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 05)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დასრულდება 2016 წელს დაწყებული სამუშაოები.

კ) სოფლის მეურნეობის დაფინანსება – 4.2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 06) პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები.

4. განათლება –1332.2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, ახლად ამენებულ ბაღებში მოხდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად ბავშვების კვებისათვის აუცილებელი ნორმების დაწესებისათვის დამატებითი სახსრების გამოყოფა.

სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება – 914.6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 01) პროგრამის ფარგლებში ფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯები, რომელიც ქმნის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად, ამჟამად მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში სკოლამდელ განათლებას ეუფლება 571 აღსაზრდელი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება 28 ასაკობრივი ჯგუფით, მათ შორის 5 ბაგის ჯგუფით, გაერთიანებაში ამჟამად შედის თექვსმეტი საბავშვო ბაღი. 2017 წელს გაიხსნება ორი საბავშვო ბაღი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სათანადო ინვენტარით.

ბ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა – 104.8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბორის საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურების დაფინანსება. სკოლაში სწავლობს 132 მოსწავლე და 27 სკოლამდელი ასაკის ბავშვი, ხოლო ღამეს ათევს უკიდურესად გაჭირვებული, ობოლი და ლტოლვილი 21 მოსწავლე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება ძირითადად ხმარდება პანსიონის კუთხით დასაქმებული 32 თანამშრომლის ხელფასებს, ნაწილი კი კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, კვებისა და მკურნალობის ხარჯები მთლიანად ფინანსდება არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ნატურალური სახით და ამასთან ანაზღაურებს სწავლის პერიოდში ელექტროენერგიის ხარჯებს. ადგილობრივი დაფინანსებით სკოლა იზიდავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სკოლაში სკოლის პანსიონური ტიპიდან გამომდინარე შემოდის და გარდა სკოლაში დამრჩენი 23 ბავშვისა, სკოლის ყველა მოსწავლეს ეხმარება სამედიცინო მომსახურებაში, უმაღლესი განათლების მისაღებად სწავლის დაფინანსებაში.

გ) სკოლისგარეშე დაწესებულება – 99.8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება, რომელშიდაც ფუნქციონირებს 15 შემოქმედებითი და ტექნიკური წრე, 41 ჯგუფით და 300 მოსწავლით, ყველა წრე უფასოა, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სკოლისგარეშე განათლებას დაბის, კიცხის, მარელისის, ლეღვის, ბორითის, ვერტყვიჭალის და წიფის სკოლებიდან, რომლებიც ეუფლებიან ხალხურ და საესტრადო სიმღერებს, რიტმული ცეკვას, მხატვრულ კითხვას, ხეზე კვეთას, გალობას, ხელგარჯილობას, ლიტერატურული თატრის ხელოვნებას, მხარეთმცოდნეობას, კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს, მათემატიკას, ხატვას, მაკრამეს, ინგლისურ და ფრანგულ ენებს.

გარდა ამისა მოსწავლეთა სახლთან ფუნქციონირებს მუსიკალური სტუდია „ჰარმონია“ დაბისა და სოფ. ვეტყვიჭალის საჯარო სკოლების ბაზაზე, რომელიც ნაწილობრივ ბიუჯეტით და ნაწილობრივ მშობელთა შემონატანით ფინანსდება.

დ) განათლების ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა - 213.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 04)

აღნიშნული პროგრამით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფელ ნადაბურში რეაბილიტაცია ჩაუტარდება საბავშვო ბაღისათვის გამოყოფილ ძველ შენობას, საპროექტო სამუშაოებისა და თანადაფინანსების თანხები მიიმართება მუნიციპალიტეტის საკუთარი



5. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 1129.5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების, მომღერლების და სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე წარმატებული ახალგაზრდების წახალისებას, ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლინება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა – 333.2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტთან დაკავშირებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, კერძოდ:

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლა; მინიფეხბურთის და კალათბურთის ჩემპიონატი ორგანიზაციებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის; სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი; ვახანის სახალხო დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობს ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები და იმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები დოდი, მკლავჭიდი, ქართული ჭიდაობა;

სამოყვარულო ფეხბურთის ლიგა და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის, მუნიციპალიტეტის განვითარებისა შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება.

სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრში 23 ჯგუფი 350 მოსწავლით სხვადასხვა სპორტულ სექციებში ვარჯიშობს, თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში, კარატეში, კუნგ-ფუ-სანდა და ტაიკვონდოში სამბოსა და ტანვარჯიშში. გარდა დაბისა, ჯგუფები გახსნილია სოფლებშიც, კერძოდ ზვარე, ბორითი, ხევი, კიცხი, მარელისი, ბორი, სადანძილე, ვერტყვიჭალასა და ნადაბურში. მოხდება წარმატებული სპორტსმენების წახალისება სპეციალურად დადგენილი წსისის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის განვითარების შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი 2017 წელს განახორციელებს შემდეგ პროექტებს: საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება ტურისტულ მარშრუტებზე, აქსესუარები ხარაგაულის ატრიბუტიკით, ეკოლოგიური პროექტები, ცაშეკრულის თამაშები, „ვიცნობდეთ ხარაგაულს“, სათაგადასავლო ტურ-თამაშები, სპორტულ-გასართობი ღონისძიებების კვირეული, „ანდრიაობა ხარაგაულში“, „იღბლიანი ანკესი“, ერთი დღე „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში“, ლაშქრობები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, „დევემირები“, კარვების ბანაკი სოფელ ზვარეში, ქვიშის ფრენბურთი, ახალგაზრდა მოყვარულ მხატვართა კონკურსი „შემოდგომის პალიტრა“ სამოყვარულო ფილმების კონკურსი „ჩემი იმერეთი“

